16 (28) დეკემბერს, 1866. № 42. პირველი წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 მან. |
| 10-ის თვისა | 6 — | 5 — |
| ნახევრის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ—3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

**შინა-არსი.** მმართებლობის განკარგულება.—ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. მტკვრიდამ წყლის ამოყვანა ტფილისის ქალაქში. პოლიტიკა:—ანგლია.—ეგვიპტე. ტელეგრამმები:—ინგილოების ჩივილი იმაზე, რომ ისინი ინგილოებში ქალებს სათხოვნელად ვერ შოულობენ. მონადირის ნაამბობი.—რამოდენიმე სიტყვა ტიგრზედ.—ტიგრის შეპყრობა წებოთი. სხვა და სხვა ამბავი. სახაზო ნოგანცხადება. საბიბლიოგრაფო ცნობა.—განცხადება სავაჭრო ფურცლის გიმოცემაზედ.

---

### ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

21-ს ნოემბერს 1866 წ. ტფილისში. **დაინიშნებიან:** სამსახურიდამ გადამდგარი არხიტექტორი კოლეჟსკი ასესორი **სოკოლოვი**—ფოთის საქალაქო არხიტექტორათ; მოსკოვის პალატის სამოქალაქო სამსჯავროს მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარე სტატსკი სოვეტნიკი **საველოვი**—ქუთაისის გუბერნიის პროკურორათ; **საჯავახოს** უჩასტკის ნაჩალნიკი გუბერნსკი სეკრეტარი თავადი **მიქელაძე**—ქუთაისის უეზდის მეორე განყოფილების მიროვის პოსრედნიკათ.

ხელმოწერილია: უმთავრესი **სამმართველოს** უფროსი, სენატორი, სტატს-სეკრეტარი ბარონი **ა. ნიკოლაი.**

---

### მტკვრიდამ წყლის ამოყვანა ტფილისის ქალაქში.

1861 წ. სამსახურიდამ გამოსული გენერალ-მაიორი **ყორღანოვი** შეეკრა მმართებლობას მტკვრიდამ წყლის ამოყვანაზედ ალექსანდრეს ბაღის (ქაშვეთის გვერდით რომ არის) მოსარწყავად, რომლისათვისაც ასესხეს იმას ხაზინიდამ 20 ათასი მანეთი. ამ შეკრულობას უ. ყორღანოვი თავიდამ დაწყებული აქამდის სრულიად უნაკლულოდ ასრულებს. 12 ფებერვალს ხსენებულმა ყორღანოვმა მისს იმპერატორებითს უმაღლესობას, კავკასიის ნამესტნიკს მიართვა არზა, რომელშიაც გამოაცხადა სურვილი მტკვრიდამ ქალაქში წყლის ამოყვანისა და ითხოვა, რომ ამ საქმის შესასრულებლად საჭიროა 30 ათასი რომ მანეთი ხაზინიდამ ესესხებინათ იმისთვის. უ. ყორღანოვმა წარმოარდგინა ამ არზასთანვე პროექტი ტეხნიკურად წყლის ამოყვანისა და გარანტიები საქმის შესრულებისა და სესხის გარდახდისა.

მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ეს ყორღანოვის არზა და პროეკტი გარდასცა უ. უმაღლესის სამმართველოს უფროსს, რომელმაც შეაკრებინა ცნობები, თუ რამდენი წყალი სჭირდებოდა სახელმწიფო დაწესებულებაებს, სადაც ახალი საშუალობით წყალი უნდა გაყვანილიყო და რამდენი ეხარჯებოდა მმართებლობას ამ საგანზედ; ამასთანავე თუ რამოდენად საიმედო იყო უ. ყორღანოვის წინადადების ასრულება. შეკრებილმა ცნობებმა ამოაჩინეს, რომ უ. ყორღანოვის აზრი პრაქტიკული და შესასრულებელია და ამ ნაირად წყლის შოვა კარგა-დიდათ შეამცირებინებს მმართებლობას წყლის ხარჯად გარდასაღებ ფულს. როცა აფიციალური ცნობები განიხილა დიდმა მთავარმა, სასარგებლოდ დაინახა უ. ყორღანოვის აზრის ასრულებაში მოყვანა და ბრძანა, რომ ამ საქმისთვის ასესხონ იმას ხაზინიდამ 30 ათასი მანეთი; ამასთანავე დაინიშნოს კამისია, რომელსაც ექნება კონტროლი ხაზინიდამ მიცემული ფულის მიზანის შესაბამათ ხარჯვაზედ. ამ კამისიის მოხსენებიდამ სჩანსო, რომ უ. ყორღანოვი სრულად ასრულებს პირობას, და ქალაქში წყლის ამოყვანის შესრულება ყოველის მხრით უფიქრელია.

ამ ზემოთქმულთან თითონ კანტრაქტიდამვე მოვიყვანთ-ზოგიერთს ალაგებს შემოკლებით.

უ. ყორღანოვმა 1 ნოემბრისათვის მომავალის 1867 წ. უნდა გაავლოს იმდენი მილები, რომ სრულად სამყოფი წყალი აძლიოს კანტრაქტში მოხსენებულს სახელმწიფო დაწესებულებაებს 20 წლის განმავლობაში; უნდა იქონიოს წყლის საწურები (ფილტრები) და წმინდა წყლის ჩასაყენებელი აუზები. უ. ყორღანოვი კისრულობს მარტო ტანი მილების გავლებას; შტოების გავლება მისი საქმე არ არის. მაგრამ სახლის პატრონებს შეუძლიანთ ამათ გაყვანაზედ ცალკე შეეკრან პირობით. უ. ყორღანოვს წყლის ფასი ექნება კანტრაქტში მოხსენებული სახელმწიფო დაწესებულებაებისთვის 5 ვედრო ერთ კაპეიკად და ოთხი ვედრო ერთ კაპ. სხვა დანარჩენი ქალაქისათვის. ცეცხლის გაჩენის დროს, რამოდენიც საჭირო იქნება, წყალი უფულოთ უნდა მისცეს და ამასთანავე გაუკეთოს აუზებს პატარა კრანები და ჯაჭვზედ ჩამოკიდებული მოკალული ჭურჭლები წყლის სასმელათ ხალხისათვის. დანარჩენი ნაწილი კანტრაქტისა შეეხება პირობის შესრულებას, ფულის გარდახდას, გირაოს და სხვ.

---

### პოლიტიკა.

**ანგლია.** გასაოცარი მიტინგი. 3 დეკემბერს, Evening Star-ი სწერს: „დღეს მოხდა მუშების უდიდესი დემონსტრაცია. არ იყო კარგი დარი, მაგრამ ზოგჯერ კი ცა გაიწმინდებოდა ხოლმე. პროცესსია გაიმართა ს. ჯემის პარკში. არა ვითარი უწესოება არა მომხდარა. არასდროს არ გვახსოვს, რომ ჩვენის დედა-ქალაქის ქუჩებში შეკრებილიყოს ასე დიდძალი ხალხი, რომელიც ასე ღირსეულად და პატიოსნად მოქცეულიყოს. გარდა ამისა ესეც შესანიშნავი იყო, რომ მუშები კარგათ ფაქიზათ იყვნენ ჩაცმულნი. პროცესსიას მისდევდნენ გარეშე პირნიც, რომ თავისი თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. იმ ქუჩებში, სადაც პროცესსია მიდიოდა, უმრავლესი ხალხი შეიყარა. მუშებში ყველაზედ მომეტებული ყურადღება ხალხმა მიაქცია დურგლებს. ესენი წამოსადეგი და ლონიერები იყვნენ. მეწალეებს წინ მიჰქონდათ ბაირაღი, რომელზედაც იყო დამაგრებული ხელოვნურად გაკეთებული წალა. წალაზედ დიდი ასოებით ეწერა: „ვისაც ეს წალა აცვია, იმან იცის, სად უფრო უჭერს.“ მერეფორმეები მიუძღოდნენ მუშების კორპორაციების პირველს განყოფილებას. მექუდეები მღეროდნენ სარეფორმო გალობაებს. ყველას, ვინცკი პროცესსიაში მიიღო მონაწილეობა, ქუდებზედ ჰქონდათ გაკეთებული ნიშნები; ვისაც ქუდზედ ეს ნიშანი არა ჰქონდა გაკეთებული, ის პროცესსიაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. არ შეიძლება, რომ კაცმა მოიხსენოს ის უთვალავი და უანგარიშო ბაირაღები, რომლებიც ყოველს ადგილას სჩანდნენ. პროცესსიის წინამძღვარნი ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდნენ, რომ უწესოება არ მომხდარიყო ხალხში. ლორდი ბანელაგი ხან უკან გააჭენებდა ცხენს და ხან წინ გამოაჭენებდა, რომ თითონ თვალ-ყური ედევნებინა ხალხისთვის, რომელსაც იმან მისცა ნება, რომ ამ დღეს იმის საკუთარს პარკში შეკრებილიყვნენ.

— ლონდონში შესდგა კამიტეტი, რომელიც მოახდენს აგიტაციას იმ განზრახვით, რომ ქალებსაც მიენიჭოს ამორჩევითი უფლება. კამიტეტი იმედოვნებს, რომ ის წარადგენს პარლამენტში, მომავალს სესსის დროს, ორს პეტიციას (თხოვნას); ერთს თხოვნას შეიტანენ ქალწული ქალები და ქვრივები, რომლებსაც შემოსავალი (ცენზი) ნებას აძლევს, რომ იყვნენ ამომარჩევლად; მეორეს შეიტანენ ყველა წოდების პირნი, როგორც ქალები, ისე კაცები.

**ეგვიპტე.** ერთს ნემეცურს გაზეთში, 26 ნოემბრიდამ, სწერენ: „ალექსანდრიიდამ (1) იწერებიან, რომ ეგვიპტის ვიცე-კაროლი ძალიან ცდილობსო იმაზე, რომ გადიტანოს იქ ევროპიული კონსტიტუციული ფორმები. წარმომადგენელების კრებას შეადგენენ 75 წევრნი, რომლებსაც ხალხი ამოირჩევს. იმათ ამოირჩევენ შეიხები ანუ სოფლების მამასახლისები. ყველას ეგვიპტის ქვეშევრდომს შეუძლიან იყოს ამორჩეული, თუ 25 წელზე ნაკლები არ არის და სახელმწიფო სამსახურში არ ირიცხება. ყველა მაზრა წარმოადგენს დეპუტატებს მცხოვრებლების რიცხვის და გვარათ. კაირო (2) ამოირჩევს 3 დეპუტატს, ალექსანდრია 2 და დამიეტა (3) 1, სამის წლით. თითონ კრება გაშინჯავს დეპუტატების უფლებას; კრება განიხილავს შინაურს პოლიტიკას და ყველა წინადადებას, რომლებიც მთავრობისაგან ექნება მინდობილი.

შეიხები, რომლებსაც ყველა სოფელი ცალ-ცალკე ამოირჩევენ, გამოაცხადებენ თავიანთ აზრს დაფარულის კენჭის ყრით. წარმომადგენელების კრება დაიწყება 25 დეკემბერს და გათავდება 21 თებერვალს.

აი ეს არის უმთავრესი კანონი კონსტიტუციისა, რომელიც ეგვიპტის ხალხმა მიიღო თავის კაროლისაგან. ამ კონსტიტუციის ძალით კოპტები (4) უფლებით შეთანასწორდნენ მაჰმადიანებთან და მარტო ეს ფაქტი თავის თავათ გვიმტკიცებს იქაურს ნამდვილს პროგრესს (წინწაწევას).

ტრონით სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა იზმაილ-ფაშამ (ეგვიპტის ვიცე-კაროლმა) კონსტიტუციის დიდ-დიდებულებით გახსნის დროს, გვიმტკიცებს, რომ იმას, იზმაილ—ფაშას, ძალიან გულმოდგინეთ ჰსურს და დიდი წადილი აქვს თავისი ქვეყნის განათლებისა და კეთილ-დღეობისათვის. ტრონით სიტყვას შემდეგ ნუმერში დავბეჭდავთ

---

### ტელეგრამმები,

პეტერბურგში მიღებული.

**ფლორენცია,** 19 ნოემბერს (1 დეკემბერს.) ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, ადმირალი პერსანო დღეს შეიპყრეს.

**კაირო,** 15 (27) ნოემბერს. ეგვიპტის ვიცე-კაროლმა წარმომადგენელების კრებაში წარმოსთქვა სიტყვა. მოიხსენა, რომ იმისი მამა და პაპა ყოველთვის იმასა ცდილობდნენ, რომ ისე შეეცვალათ ეგვიპტის მდგომარეობა, როგორც ახლანდელი დრო მოითხოვს. იმან გამოაცხადა, რომ იმასაც სურს გააუმჯობესოს ეგვიპტის მდგომარეობა და ამისათვისაც მოუწოდა მთელი ხალხის წარმომადგენლები, რომ იმათ ერთად საყოველთაო საქმეებზედ მოილაპარაკონ.

**ლონდონი,** 21 ნოემბერს (3 დეკემბერს). დუბლინში და ბელფასტში შეიპყრეს მრავალნი. ფენიების მღელვარება თანდათან ძლიერდება.

---

(1) უმთავრესი ქალაქია ეგვიპტეში.

(2) კაირო ეგვიპტის სატახტო ქალაქია.

(3) ქალაქია ეგვიპტეში.

(4) კოპტები-ეგვიპტის მცხოვრებნი არიან, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებენ.

---

# განცხადება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთის **„დროების“** გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.**

ანგლიის მმართებლობა დაჰპირდა ათას გირვანქა სტერლიგნს იმას, ვინც სტიფენსის კვალს მიაგნობს და ათასს გირვანქა სტერლინგს იმას, ვინც იმას შეიპყრობს.

**ლონდონი**, 22 ნოემბერს (4 დეკემბერს). ლონდონში მოხდა დიდი დემონსტრაცია რეფორმის სასარგებლოდ; დემონსტრაციის დროს უწესოება არ მომხდარა.

**ნუ-იორკი**, 21 ნოემბერს (3 დეკემბერს). პრეზიდენტი ჯონსონი თავის წარგზავნაში აცხადებს, რომ ის არ გადაუდგება თავის უწინდელს პოლიტიკას. შეერთებულის შტატების ფინანსები მშვენიერს მდგომარეობაში არიან. შემოსავალი გასავალზედ 158 მილლიონი დოლლარით მომეტებულია.

**ვენა**, 24 ნოემბერს (6 დეკემბერს). აფიციალური ვენის გაზეთი ამტყუნებს იმ ხმას, რომ ვითომც ავსტრიასა და რუსეთს უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში. გაზეთი იცხადებს, რომ ამ ორს სახელმწიფოს შორის მჰიდრო და მეგობრული თანხმობაა. ავსტრიას ფიქრათაც არ აქვს, რომ შეაგროვოს ჯარი გალიციაში. აგრეთვე რუსეთსაც არ მოუხდენია ისეთი განკარგულება, რომ სასაშიშრო და შესაძრწუნებელი იყოს.

**კონსტანტინოპოლი**, 23 ნოემბერს (5 დეკემბერს). ექვს რუმელიის ბატალიონებს ბძანება გაეცათ, რომ ისინი წავიდნენ კანდიის კუნძულზედ.

**ათინა**, 19 ნოემბერს (1 დეკემბერს), საბერძნეთის ჯარის სამი კორპუსი ოსმალოს საზღვრებისკენ განემგზავრა.

რუსეთის ფრეგატი „გენერალ-ადმირალი" მოვიდა კანეიდამ (ქალაქია კანდიის კუნძულზედ) პირეაში. გარიბალდიელები მოდიან პირეაში.

**კონსტანტინოპოლი**, 26 ნოემბერს (8 დეკემბერს). ოსმალოს აფიციალურის ცნობებიდამ ოსმალოს ჯარმა იერიშით აიღო ერთი მონასტერი კანდიის კუნძულზედ, სახელად არკადი; მონასტერში მყოფმა ბერებმა წამალი აფეთქეს. ამდროს განდგომილებს დაეხოცათ რამდენიმე ასი კაცი, ოსმალებს მოუკვდათ 58 კაცი და დაეჭრათ 150.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი**, 5 დეკემბერს. იტალიის პარლამენტი გაიხსნა, 3-ს დეკემბერს. იტალიის კაროლმა ტრონით-სიტყვაში გამოაცხადა, რომ სამშვიდობო ტრაქტატის დამტკიცების შემდეგ, დაიწყება მოლაპარაკება ავსტრიასთან, რომ უფრო გაადვილდეს მისვლა-მოსვლა ამ ორს სახელმწიფოს შორის. იტალია, 15 სეკტემბრის კონვენციის ძალით, როგორც უწინ, ისე მომავალში არ შეეხება პაპის სამფლობელოებს, როდესაც რომიდამ ფრანციის ჯარი გავა. ბოლოს კაროლმა გამოსთქვა იმედი, რომ კათოლიკები შეურიგდებიან სახალხო მოთხოვნილებას და მოისპობა ყოველივე უთანხმოება სახელმწიფოსა და ეკკლესიას შორის.

## ინგილოების ჩივილი იმაზე, რომ ისინი ინგილოებში ქალებს სათხოვნელათ ვერ შოულობენ.

ინგილოები გვარათ ქართველები არიან და ცხოვრებენ ზაქათალის მაზრაში. მე მგონია, რომ ისინი უწინ კახეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდნენ და განაპირებულან შაჰ-აბბასის დროს, რომელიც ყოფილა სასტიკი მტერი საქართველოსი და ქრისტიანობისა. ამ შაჰის ბძანებითვე, ვგონებ, აქ გავრცელებულია მაჰმადიანობა. მაგრამ ინგილოებს ქრისტიანობისათვის არაოდეს თავი არ დაუნებებიათ. ისინი გულით ქრისტიანები ყოფილან, პირათ კი მაჰმადიანნი. იმის გამო ინგილოებს ისე სძულებიათ ლეკები ანუ მაჰმადიანნი, რომ არა ჰქონიათ იმათთან მოყვრობა. არ არის ჯერ მაგალითი, რომ ინგილოს ლეკისთვის ქალი მიეთხოვოს. ბევრჯელ თურმე უთხოვნიათ ლეკებს ინგილოებისთვის ქალი, მაგრამ იმათ ცივი უარი უთქვამთ. თვით ელისოს სულთანს დანიელ-ბეგს ეთხოვნა ცოლათ კახის ინგილოებისათვის ქალი, მაგრამ ისინი ამაზე ყაბულს არ გამხდარან. მოტაცებით და ძალადობით კი ბევრი წაუყვანიათ ლეკებს. აჯი-ალი-ბეგი, მაგ., არის მოტაცებულის ინგილოს ქალის შვილის—შვილი; ამის გამო ის ახლა ჩვენ ტაიოღლის (ანუ ბიძაშვილებს დედის მხრით) გვეძახის, რადგანაც ჩვენი ქალის შვილია.

ლეკებს კი ინგილოებისათვის ქალები უძლევიათ და აძლევენ კიდეც; მაგრამ ესეც იშვიათი საქმეა: თუ ინგილო ძლიერ გაჭირვებული და ოხერი არ არის, ის ლეკის ქალს არ ითხოვს.

უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ინგილოები ჯერ ცოტანი არიან და მერე შუაზე გაყოფილნი: იმათში ნახევარზე მეტი მაჰმადიანია, და მცირედი ნაწილი ქრისტიანია. უწინ ქრისტიანები მეტნი იყვნენ, მაგრამ ჰაჯი მურთუზის ბუნტის შემდეგ მრავალი ისევ მიიქცა. ეს მცირედი ნაწილი ქრისტიანებისა დიდათ შეწუხებულნი არიან, რადგანაც ჩვენის ქორწინების კანონის გამო ვერა შოულობენ ქალებს სათხოვნელათ.

ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, თუ რომ ინგილოებს ჩვეულებათ ჰქონებოდათ ქალის გათხოვება ერთის სოფლიდამ მეორეში. ძლიერ იშვიათია, რომ მოუნათლავმა ან მონათლულმა ინგილომ სხვა სოფელში ქალი მისცეს. კახელმა კახშივე უნდა გაათხოვოს, ყორაღანელმა—ყორაღანში, ალიბეგლოელმა—ალიბეგლოში. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ქვეყანაში ჰავა თითქმის ყოველს სოფელში სხვა და სხვა ნაირია. მაგრამ კახის ჰავა არის მთელი და კეთილად მოქმედი, რადგანაც კახი მდებარეობს მაღალს ალაგს, მთის ძირას. ყორაღნის ჰავა დამპალია. იმისს მიწებში ბევრი ჭაობებია, სოფლის სასმელი წყალი გუბეებიდამ გროვდება, ამისთვის ის ძლიერ მავნებელია ხალხისთვის. ალიბეგლოს ჰავა ყორაღნის ჰავას სჯობია.

ჩვეულება მეორე ბუნება არისო კაცისათვის, ამბობს ანდაზა; ამის გამო კახის ქალი, სხვა სოფელში გათხოვილი, ვერ იტანს ჰავას. ყორაღნის ქალი უფრო იტანს კახის ჰავას; მაგრამ კახელები ისე ამპარტავნები არიან, რომ არა თხოულობენ ყარასავის (შავ წყლებზე მცხოვრებლების) ქალებს. კახი ყარასავის ხალხს დამბლას ეძახის და ამასთანავე სხვა სოფლების სიწმინდე არ მოსწონს. კახელები ძლიერ წმინდათ ცხოვრებენ. სიწმინდით იმათ არც ერთი სოფელი არა სჯობია. დილა რომ გათენდება, კახის დედაკაცები ბარს აიღებენ, მოუვლიან ეზოს, საცა უწმინდურებას ნახვენ, ბარით ასჭრიან და ბაღჩაში გადისვრიან. სხვა ინგილოს სოფლებში ასე არ არის. იმათი ცხოვრება უფრო თათრის ცხოვრებას მიემსგავსება, თუმცა მცირეთ.

აი ეს არის სხვათა შორის მიზეზი, რომ კახელი ინგილო სხვა სოფლის ინგილოს ქალს არ აძლევს, და არც მოსწონს ისა. საქრისტიანო სოფელი ინგილოებში არის ახლა ხუთი, თუ მკითხველი არ დაგვიშლის ყორაღნის მითვლას ამ სოფლებზე, რადგანაც აქ ნახევარი მაჰმადიანია. რადგანაც ინგილოებს არა ჰქონიათ და არცა აქვთ ჩვეულება ქალის გათხოვებისა ერთის სოფლიდამ მეორე სოფელში, ამისთვის არ არის სოფელში ისეთი კაცი, რომ მთელი სოფლის ხალხი იმისი ნათესავი არ იყოს. ქალების გათხოვებით ერთსა და იმავე სოფელში ახლა კახელები ისე არიან ერთი ერთმანეთზე გადაბმულნი ნათესაობით, როგორც ლიჭი.—კახში ოცდაათი გვარი იქნება, და იმათში მე მაგალ. ყველასთან ნათესაობა მაქვს. ყყელა გვარში თითქმის ხუთი ექვსი ქალია გათხოვილი ჩვენის გვარიდამ; აგრეთვე იმათგან ჩვენს გვარში. ამის გამო როდესაც დრო არის ხოლმე ქორწინებისა, მღვდელი ძლიერ წუხდება: იმან სრულებით არ იცის, როგორ მოიქცეს. ის ვერც ხალხის წინაალმდეგობასა ბედავს და ვერც ეკკლესიის კანონისასა.

ინგილოს ნათესავისთვის ქალი მიუცია და სთხოვს მღვდელს, რომ ჯვარი დასწეროს. ეკკლესიის კანონი მღვდელს ეუბნება: „არ შეიძლებაო".

აბა ახლა, მკითხველო, მღვდელმა რომელს მიუგდოს ყური? რომლის თხოვნა აასრულოს? ეკკლესიის წინაალმდეგ რომ მოიქცეს, მღვდელი უნდა მოელოდეს, რომ იმას სასულიერო მთავრობა დასჯის. მღვდელი, რასაკვირველია, ამას ყოველთვის მოერიდება. ასეც არის.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ მღვდელს ხალხისაც ეშინიან. ინგილოს თავისი შვილი ნათესავზე დაუნიშნავს და მღვდელი მთავრობის შიშით იმას ჯვარს ვერა სწერს. უმეცარი და გაუნათლებელი ინგილო ჯავრობს, შფოთობს, ემუქრება იმას; მღვდელი უარზე დგას. ინგილო იმას ეუბნება, რომ დიდი ხარჯი მომივიდაო, ქორწილი კიდეც დავიწყეო და ახლა როგორ შეიძლება, რომ ქორწილი მომეშალოსო ჯვარის წერის გულისათვის.

როგორც საქართველოში, აგრეთვე საინგილოში დანიშნულს ყოველს წელიწადს ძღვნით მოიკითხვენ და ამგვარათ შვიდ ძღვენს შეასრულებენ. ამ ძღვენს ინგილოები „ნიშანს" უწოდებენ. თვითო ნიშანი თორმეტი მანეთი ჯდება; უკანასკნელი კი თხუთმეტი მანეთი ღირს. გარდა ამისა, რძლის მიყვანის დროს ოცდა ათი ჩაფი ღვინო, ერთი საკლავი-ხარი და კოდნახევარი პური უნდა მიუტანოს სიძემ ქალის მამას. ამასთანავე ქალის მამა გამოართმევს, რამდენიც სურს, ნაღდს ფულს, ოცს თუ ოცდაათს თუმანს. ამ გვარათ ქალის პატრონს ორმოცი თუმანი ფული მაინც შეუსრულდება. ჯვარის წერის წინათ ინგილოები ქორწილს დაიწყებენ; და რადგან იმათ რცხვენიანთ, მღვდელს ღამით აწერინებენ ჯვარს; მერმე ქალს ეკკლესიიდგანვე მამის სახლში გააგზავნიან და ვაჟსაც მაყრები უკანვე დააბრუნებენ. მეორე დღეს ვაჟის სახლიდამ მაყრები (ინგილურათ: გატანებული) წავლენ ქალის სახლში. ქალს ცხენზე შესმენ და წამოიყვანენ დაფა—ზურნით.

ახლა თქვენ იფიქრეთ, მკითხველო, როგორ მოიქცეს თვით ინგილო. მღვდელმა ნათესაობის გამო ჯვარი არ დასწერა და ინგილოს ქორწილი მოეშალა, მაშასადამე ქალისა და ვაჟის მამის შორის მოყვრობაც მოიშალა. ამდენხანს ერთმანერთან ტკბილნი ახლა მწარდებიან; აქედამ დაიწყება იმათი ჩხუბი, ვაჟის მამა ეუბნება: „მე შენთვის ამდენი ძღვენი მომიტანიაო და ამდენიც ფული მომიციაო, სულ ჯამი ამდენი შესდგებაო; გთხოვ დამიბრუნოო, რადგან ჯვარის წერა არ მოხდაო." ძლიერ დიდი ბედნიერება იქნება, თუ რომ ქალის პატრონმა უარი არ უთხრა ვაჟის მამას შემდეგის სიტყვებით: „მე რა ვქნა, ჩემი ბრალი ხომ არ არისო, რომ შენ ჩემი ქალი ვერ წაიყვანეო, მე ქალს გაძლევეო, წაიყვანე და ჯვარი დააწერინეო". ზოგი კიდევ ეტყვის: „მაგდენი კი არ მოგიციაო ჩემთვის—აი ამდენიო". მოხდება ამ საგანზე მათ შორის დიდი ლაპარაკი და გათავდება ან ფიცითა ან კი ადგილობრივ ის მთავრობის გადაწყვეტილებით.

მაგრამ ზოგი ერთი წარჩინებული ინგილო მღვდელს ყურს არ მიუგდებს; ის ჯვარ დაუწერლათ წაიყვანს ქალს და მერმე მღვდლის ან ბლაღოჩინის გამოცვლის დროს თავისის რძლის ჯვარის წერასაც მოახერხებს. ამ გვარი საქმე მოხდა ახლანდელის ბლაღოჩინის დროსაც.

ერთს-ორს ინგილოსაც რომ ასე მოსვლოდეს ეს, მღვდლისათვის საშიში არ იქნებოდა; მაგრამ როდესაც მთელს საზოგადოებას მღვდელი თავისი წინაალმდეგ[illegible]ნებს, მაშინ იმისი მდგომა[illegible]დოებაში ძნელდება. საზოგადოება იმას პატივს აღარა სცემს, და ისე ავიწროებს, რომ ის ან თავისის ნებით ეთხოვება მთავრობას ან საზოგადოება თავისის ჩივილით ისტუმრებს საქართველოსკენ. მთავრობაც ამ შემთხვევაში ინგილოებს უჯერებს, რადგანაც ისინი ახალ მონათლულნი არიან.

აქედამ ნამდვილათა სჩანს, რომ მღვდელი ორ-წყალს შუა არის. იმან სრულებით არ იცის, როგორ მოიქცეს, და მოელის მთავრობა რა განკარგულებას მოახდენს ამ საქმის თაობაზე-1855 წელს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ისიდორეს, როდესაც ამ გვარი საქმეები ეცნობებინა იმისთვის ადგილობრივს ბლაღოჩინს, მღვდლებისათვის ნება მიეცა ამ პირობით: „რადგანაც ნიშნობა მონათვლაზე წინ მომხდარაო, ამისთვის ნებას გაძლევთო ეს ძველებური საქმეები გაწმინდოთ და ხალხს ჩააგონოთო, რომ შემდეგ ნათესავმა ნათესავი აღარ ითხოვოსო. გარდა ამისა ჩამოართვით ინგილოს საზოგადოებას პირობის ხელწერილი, რომ ისინი ნათესავებს აღარ ითხოვენო." მაგრამ ამისთანა ღონის—ძიებით ინგილოებს ვერ მოაშლევინეს ნათესავის თხოვნა და, ჩემის აზრით, ამას იმდრომდე არ მოიშლიან, ვიდრე ინგილოების ჩვეულება სხვა სოფლებში ქალების გაუთხოვლობისა არ დაირღვევა.

როდესაც ვამბობთ, რომ ინგილო ნათესავს თხოულობს, ამას რამოდენათმე ახსნა უნდა; თორემ ბევრი სხვა ფრივ იფიქრებს. ინგილოს მამრობითი შთამამავლობა ძლიერ სწამს, ქალისა კი არა. ამის გამო ესენი თხოულობენ დედის დის ქალს, მამიდისას, ბიძის ქალის ქალს, და სხვა. არაოდეს კი მამრობითს ნათესაობაში ის ქალს არ ითხოვს, თუნდა რომ არაფერი დაბრკოლება არა ჰქონდეს ეკკლესიის კანონისაგან. აი რა არის ნათესავის თხოვნა.

მღვდლების მდგომარეობა არაფერია ინგილოების მდგომარეობასთან. ესენი ისე არიან შეწუხებულნი, რომ მეტი არ შეიძლება. ქალს ითხოვენ საწყლები და მღვდელი კი ჯვარს არ დასწერს: ნათესაობა არისო თქვენ შორის. სხვა ინგილოს სოფელი იმას ქალს არ აძლევს. რაღა თქმა უნდა, რომ მაჰმადიანის ქალსაც ვერ ითხოვს, რადგანაც ერთი ქრისტიანია, მეორე მაჰმადიანი. ყორაღანში ახლა ორმოცდა შვიდი კომლი ქრისტიანია, ორმოცდა ცხრა—მაჰმადიანი. მაჰმადინებში შეიძლება ნათესავი ნათესავს მიეცეს, ქრისტიანობაშიკი არა. ეს ყორაღნის ქრისტიანები კიდევ ეკკლესიის კანონით ყველანი ისეთნი ნათესავნი არიან, რომ ერთმანერთს ქალს ვერ მიათხოვებენ.

კიდევ ერთს რასმეს გკითხავ, მკითხველო: როგორ უნდა მოიქცნენ ამის შემდეგ ყორაღნელები და სხვა სოფლების ქრისტიანი ინგილოები. სად ითხოვონ ქალები? საით წავიდნენ? რომელს მხარეს მიჰმართონ? უცოლ—ქმრობა ხომ არ შეიძლება! მაჰმადიანი (ინგილო) თუ მონათლული, იმას ქალს სთხოვს, ეუბნება: „გამაჰმადიანდიო, თუგინდა ქალი მოგცეო." ქრისტიანი კიდევ შიშით ვერ აძლევს ქალს ქრისტიანს, რომ მღვდელი ჯვარს არ დასწერსო. მკითხველო, ამ საქმეში შენ გთხოვ სამართალს, როგორ მოიქცეს ინგილო? შენ გადუჭერ ეს სამართალი? ჭიზიყში ითხოვოს იმან ქალი? მართალია ჭიზიყში თხოულობენ, მაგრამ იქაური ქალები იმათ არაფერს არგებენ; აქაურს დედაკაცსავით ისინი ვერა მხნეობენ. გარდა ამისა ზოგი იმათგანი ცუდის ჰავის მსხვერპლთა ხდება. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჭიზიყიდამ ქალს უფრო ხელ ნაკლები კაცი თხოულობს, ოჯახის შვილი კი—არა, რადგანაც იქაური ქალი ინგილურათ (ამათებურათ) ვერ იქცევა და ვერ ირჯება.

ამას ჩვენ მარტო უორაღნის ქრისტიანებზე არ ვამბობთ. ქრისტიანი ინგილოები ყველანი ამ გვარს შეწუხებაში არიან. ამ ქრისტიანობრივის ქორწინების კანონის გამო, რომელიც სასტიკ მიაჩნიათ ინგილოებს, როდესაც ისინი გაჯავრდებიან დაბრკოლებას რასმე შეემთხვევიან, მაშინვე გათათრებას მოიგონებენ. მაგრამ ამას კი ამბობენ, რომ როგორც მონათლამდე ვიყავითო, ისევ ისე ვიქნებითო, ესე იგი, არც ნამდვილი მაჰმადიანები და არც ნამდვილი ქრისტიანები. მიქცეული ინგილოებიც ამ გვარს მდგომარეობაში არიან, და მე იმასაც ვფიქრობ, რომ ინგილოების გამაჰმადიანობის მიზეზი, სხვათა შორის, ეს კანონი ყოფილა. ეს მიზეზი ბევრჯელ მოუგონებიათ ჩემთვის ინგილოებსაც. მაშასადამე სჩანს, რომ ეს საქმე ინგილოებისა დაუყოვნებლივ მოითხოვს განხილვასა და განაჩენსა.

უკანასკნელ მე უნდა ვსთქვა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს სასულიერო წოდებამ და სხვა საერო პირებმა წერილის მცოდნეებმა ეს კითხვა გაარკვიონ ლიტერატურაში. სასურველია შევიტყოთ, რას იტყვის ამაზე საქართველოს სასულიერო წოდება. ნებას მისცემს ინგილოებს, რომ იმათ მესამე თაობაზე ცოლი შაირთონ. ჩემის აზრით ეს შეიძლება მოხდეს, რადგანაც ინგილოებს სასტიკათ მიაჩნიათ ქორწინების კანონი.

აქ ეს კანონი ერთის მხრით ქრისტიანობის გავრცელებას აბრკოლებს, მეორეს მხრით ბოროტებას შობავს და აქაურს ხალხს აფთხობს. მართალია, სჯულში არ შეიძლება არც დაკლება და არც მიმატება, მაგრამ ქრისტეს ბძანებისა არიყოს: „შაბათი კაცისათვის არის შექმნილიო და არა კაცი შაბათისთვისაო.“ ქრისტეს სჯული კაცის კეთილ—დღეობისათვის არის მოცემული. მაშასადამე, რასთვის არ შეიძლება, რომ ზოგიერთი დებულება კაცის ანუ მთების ხალხის ბედნიერებას შევუფარდოთ; თორემ ახლა ინგილოები წუხდებიან, რომ იმათ მესამე თაობაზე ნებას არ აძლევენ ჯვარის წერისას. თუ კი შეიძლება რომელსამე ღონის ძიებით დამკვიდრდეს ეკლესიის მორწმუნეთა შორის მშვიდობიანობა და მოისპოს ის ბოროტება, რომელიც მე ზემოთ ვუჩვენე, ვგონებ, ის ღონის-ძიება უნდა მოიხმაროს ეკკლესიამ. ძვირფასი რამ არის ეკკლესიაში მშვიდობიანობა!„ მშვიდობა თქვენთანა არს“ სთქვითო, ასე გვარიგებს ქრისტე.

ინგილო.

---

## მონადირის ნაამბობი.

### რამდენიმე სიტყვა ტიგრზედ.

ტიგრი არის კატის გვარი; წითელს ტანზედ გადუდევს რამდენიმე შავი ზოლები. სხვა ცხოველებს, რომელნიც კატის გვარნი არიან, მაგალითად ვეფხვსა, სულ აბაზის ოდნა ფორაჯებით აქვს ტანი დაჭრელებული. ტიგრი, ლომს გარდა, კატის გვარში ყველაზედ დიდია; ლომის ოდენიც კი ხშირად იპოვება. გძელი ფაფარი, რომელიც სქლად აყრია ლომს თავზედ და ბეჭებზედ, იმას დიდათ აჩენს. ეს ფაფარი რომ ლომს წაერთვას, მაშინ ის ტიგრზედ მომეტებული არ გამოჩნდება. როგორც ლომი, ყველა ტიგრი შეხედულობით და ფერით თითქმის ერთგვარია; შეიძლება იმისთანა ტიგრი შეგვხვდეს, რომელსაც მიწა უფრო მოყვითლო ფერისა აქვს და ზედ უფრო მოჭირებული შავი ზოლები გადურბენს; მაგრამ სახით კი სულ არ სხვაფერდება. ვისაც კი ოდესმე ტიგრი უნახავს, იმას ერთის თვალის მოკვრის მეტი არ უნდა, რომ ტიგრი იცნოს, რა სახისაც კი უნდა შეხვდეს. დედამიწის ზურგზედ ტიგრი უფრო მცირეს ადგილზედ იპოვება, მინამ ლომი; ტიგრი მარტო სამხრეთს აზიაში ცხოვრებს ესე იგი ინდოეთში და ინდოეთის ოკეანი კუნძულზედ, ლომს კი უფრო დიდს ადგილზედ აქვს გაშლილი საცხოვრებელი ბინა; ის იპოვება მთელს აფრიკაში და სამხრეთს აზიაში.

ტიგრი უფრო დამკვიდრებით ცხოვრებს ინდოსტანის ტყეებში, სიამში და მალაკის ნახევარ—კუნძულზედ. ამ მხარეში ის სწორეთ გამეფებულია; ამავე ადგილებზედ ზოგჯერ ლომიც შეხვდება ხოლმე, მაგრამ ძვირად, ისე რომ ადგილის მცხოვრებლები იშვიათად მოიხსენებენ ხოლმე ამ ცხოველთა მეფესა; უფრო ხშირად ტიგრზედ ლაპარაკობენ. იმას უფრო შეშინებული ჰყავს აქაური მცხოვრებლები.

ჩვენ, რომლებსაც არ შეგვხვედრია ეს ცხოველი, ძნელად წარმოვიდგენთ, თუ იმას რამდენათ დამფრთხალი ჰყავს ის ხალხი, რომლის მახლობლათაც ეს ცხოველი ბუნაგობს. როცა სახლიდგან გამოდის, კაცი ძრწის ამ ქვეყნებში იმ აზრით, ვაი თუ გზაზედ ტიგრის კლანჭები მომხვდესო! და ტყუილიც არ არის. ყოველს სოფელს გულში ჩარჩენილი აქვს, თუ რამდენი კაცი დაუფრეწია ტიგრსა. იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ ეს ნამდვილია, რომ ზოგჯერ მთელი მაზრა აყრილა ხოლმე თავის ადგილიდგან, მიუტევებია მშვენიერი სახნავ—სათესი ადგილები და სხვაგან გადასახლებულან, რადგანაც იმათს მაზრაში ტიგრს დაუბუდნია და გასავალი ადგილი აღარ მიუცია მცხოვრებლებისთვის. ზოგიერთს მაზრებში ინდოეთს არც კი არავის ჰსურს ტიგრზედ ნადირობა, რადგანაც ყველანი დამფრთხალნი არიან იმისგან. იმათ მიაჩნიათ ტიგრი იმისთანა ცხოველათ, რომელსაც უზენაესი ძალა აქვს ღვთისგან მიცემული, და რომელიც ღვთისგან მოევლინებაო ხალხს დასასჯელად. ამის გამო ბედკრული მცხოვრებლები არც კი ცდილობენ ხელის გამოღებას, რომ ეს სასაშინრო მტერი მოიგერონ, და ვინც კი იმათგანი კლანჭებში მოხვდება ტიგრსა, ის იმის მსხვერპლია მიუცილებლად.

სხვა ადგილებზედ, საცა ხალხი უფრო ცრუმორწმუნე არ არის და გამრჯელია, იქ გულ მაგრად სდევნიან ტიგრსა და ხმარობენ ბევრს ნაირს ხერხსა ამ ცხოვლის შესაპყრობად. იმას ჰკლავენ მოწამლულის შეილდ-ისრითა, რომელიც მომართულია ისეთ გვარად, რომ როგორც კი მიუახლოვდება მისატყუებელს ხორცსა, ისე ისარი გაუპობს გულსა და უხელოდ მიწაზედ დაეცემა. ამ გვარათვე მოაწყობენ ხოლმე მახეზედ გატენილს თოფსა.

ტიგრებზედ სანადიროთ სპილოებითაც წავლენ ხოლმე, მაგრამ ამ გვარს ნადირობას ბევრი უბედურება მოსდევს; ეს ნადირობა ისე არ გათავდება, რომ რამდენიმე კაცი ტიგრმა არ გააფუჭოს, მეტადრე დაბალის წოდებისა; მაგრამ ინდოელს თავადებს და ანგლიელ აფიცრებს ოცი დაბალის წოდების კაცის სიკვდილი და ერთის რაიმე ცხოველის მოკვლა თანასწორად მიაჩნიათ.

### ტიგრი შეპყრობილი წებოთი.

როცა ინდოეთის ოკეანიდამ კაცი ჩრდილოით წავა, ის დიდს მშვენიერს მინდვრებს გადივლის, შემდეგ შეუდგება მდაბლობს გორებსა და ღრმად ჩავარდნილს კლდიანს ადგილებს. ეს გორები და კლდიანი ადგილები მდიდრად არის შემკული ბუნების სამკაულითა. აქ იმყოფება მრავალ-გვარი ცხელის ქვეყნების მცენარეობა; ალვის ხის ტყეებში აქ კაცს გატანება არ შეუძლიან. ღრმად ჩავარდნილს ღელეების ძირს მიღრიალებენ დიდნი მდინარენი. ეს მხარე არის დიდის ჰიმალაის მთების სამხრით და სიგძით და სიგანით რამოდენსამე ვერსზედ უწევს. ამ ადგილს ჰქვიან ტერაი. ჰავა აქ ძლიერ ცუდია, ისე რომ ხალხს ცუდის ჰავის გამო ეს ადგილი გაუნადგურებია; მხოლოდ რამოდენიმე სახლობა ველურის კაცებისა გაფანტულა აქაიქ ამ მხარეში. მით უფრო ნადირით ავსებულა ეს მხარე. ვეფხვს, აფთარს, ლომს და ტიგრს მთლად დაუჭერია ეს ალაგი. სქელს ბანანის ტყეებში სძოვს სპილოს ჯოგი, მარტორქა და გარეული ხარი, ანუ იქაურად იაკი. აკსისს, ანუ ხატაველს ირმებს, ხომ რიცხვი არა აქვს.

ბავარიელნი მონადირენი მხოლოდ რამდენიმე დღე მოუნდნენ ნაყოფიერის ინდოეთის მინდვრების გადავლას; ბოლოს მიადგნენ ტაირის საზღვარს. აქ ბევრი ჯერეთ განუხილავი მცენარეები იპოვეს იმათ და, რადგანაც იმათში ერთი სწავლული ბოტანიკი იყო, ამისთვის იმას უნდოდა ამ მხარეში რამდენიმე დღე დაეყო, რომ ყველა ახალი მცენარეები მოეგროვებინა და აეწერა.

ინდოეთში ერთგვარი ღელვი იზრდება, რომელსაც ჰქვიან ბანანი; ამ ხეს ძალიან ფართო ფოთლები აქვს, ისე რომ ერთ ფოთოლზედ კაცი კარგა დაჯდება ფეხმოკეცილი. ბანანი იზრდება ძალიან მსხვილი და ტანზედ გამოსცემს ხოლმე ფესოებსა, რომელნიც ჩამოიზრდებიან მიწამდის და მიწაში გაიბანდებიან. ეს ფესოები ისე მრავლდებიან, რომ ხის ტანს დამალვენ და ამ გვარს ხის ძირას შეუძლიან ორასმა კაცმა პაპანაქა სიცხეში და დიდს წვიმაში თავი შეიფაროს. მონადირეებმა ერთს ამ გვარს ხეს ქვეშ დაისადგურეს. ბავარიელს მონადირეს ერქვა კასპარი, რომელიც იყო სწავლულის ბოტანიკის ძმა; ამას კი კარლოს ეძახდნენ. იმათ ახლდათ ინდოელი მონადირე, რომელსაც თავის ქვეყანაში ხმა ჰქონდა გავარდნილი და მართლაც იმისთანა მამაცი და მოხერხებული კაცი თავის ხელობაში ძვირად იპოვებოდა. ამ ინდოელს მონადირეს ეძახდნენ ოსსაროს და ბავარიელი ძმები კი—შიკარრისა, რომელიც ნიშნავს ინდოელ ენაზედ მონადირეს.

მზე დიდიხანია ჩავიდა და დაეცა გარემოს უმთვარო ბინდი. მონადირეები იყვნენ ძლიერ დაღალულნი. ოსსარომ ცეცხლი გააჩაღა. უეცრად უმთვარო ღამეში შორი ახლოს გამოჩნდა ორი მოელვარე წერტილი. ის უთუოდ რამე ნადირი უნდა იყოსო, რომლის თვალებიც ასე ცეცხლსავით გამოსჭვერენო უმთვარო ღამეში თქვეს მონადირეებმა. ბავარიელებს ტანში ჟრუანტელმა დაურბინა, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ის იქნება უწყალო ტიგრი ან ლომი იყოსო. ოსსარომ მოჰკრა თუ არა თვალი, მაშინვე ჩუმათ წაიჩურჩულა—„სამბურია“. ის იყო ირემი, რომელიც ცხოვრებს ამ ცხელს ქვეყანაში და ჩვენებურს ირემზედ ბევრად უფრო დიდია. კასპარმა ჩუმათ წამოავლო თოფს ხელი და დაუმიზნა ორს გამომსჭვერს წერტილს. იჭექა თუ არა თოფმა, ისე რაღაც ხმაურობა შეიქნა ტყეში. მონადირეები მივარდნენ ანთებულს ჟინჟლილებითა და ნახეს მკვდარი ირემი, რომელსაც ყელში ფრიცს პირი წაევლო და ფართხალიც აღარ დაეცალა ბედკრულის ცხოველისთვის. ფრიცი იყო ძალიან ერთგული და კარგი მონადირე ძაღლი, რომელიც ამ მონადირეებს მოუშორებლათ თან დაჰყავდათ. რადგანაც ნადირისა ეშინოდათ იმ ღამესვე აკუწეს ირემი მონადირეებმა და ასო-ასოებად ჩამოჰკიდეს ხეებზედ; თითონ კი დაივახშმეს და მიწვნენ დაღალულნი ცეცხლაპირს. შუაღამე რომ შეიქნა, გაჩნდა ფეხის ხმაურობა და იმასთან ერთი რაღაც საოცარი ღრენა და გაჯავრებული ქშენა მოისმა ტყიდგან. ფრიცი ძლიერ ჰყეფდა, მაგრამ მონადირეების ბინას კი არ მოშორებია. ცოტახანს შემდეგ ფრიცმა ყეფა გასწყვიტა და ხმაურობაც მიწყნარდა. ალიონზედ ოსსარო წამოხტა და მიმართა ირმის ხორცს, მაგრამ იმას ნახევარი ირემი აღარ დახვედრია. კარლი და კასპარი ვერ მიხვდნენ, თუ ვინ მოიპარა ეს ნახევარი ირემი, ოსსაროს კი ბევრი არ უფიქრნია ამაზედ. იმან მაშინვე გამოუცხადა თავის ამხანაგებს ქურდის სახელი. ირემის ქურდი იყო დამთავრებული ტიგრი, რომლის კვალიც იქვე ხევის პირზედ იყო დაჩენილი.

მონადირეებს არ იამათ ამგვარის სასტიკის ნადირის დამეზობლება და ატყდნენ, რომ ბინა გადაეცვალათ, რადგანაც კარგათ იცოდნენ, რომ იმავე ღამეს ტიგრი ესტუმრებოდათ. მხოლოდ ოსსარო არ დათანხმდა იმათს რჩევაზედ და დაჰპირდა ტიგრის მოკვლას. ამ დაჰპირებამ ყველა შეაფიქრა, იმისთვის რომ ტიგრთან შებმა უვნებელათ არ ჩაივლიდა; მაგრამ ოსსაროს მაინც წინააღმდეგნი აღარ გაუხდნენ: მხოლოდ კი სურდათ, რომ შეეტყოთ ოსსაროს განზრახვა.

—ოღონდ თქვენ ხვალამდის მომითმინეთ—უთხრა ინდოელმა მონადირემ ბავარიელებს,—და ოსსარო გიჩვენებთ თავის მოქმედებას. ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ ტიგრი ჯერ ცოცხალი არ შევიპყრო და მერმე არ მოვკლა.

ოსსარომ უამბო თავისი ხერხი ძმებსა. დანაყრდნენ თუ არა, იმავწამს სამნივე შეუდგნენ ინდოელის განზრახვის ასრულებასა. ახალგაზდა მონადირეებმა მოსჭრეს რამოდენიმე ბამბუკის ღერები, რომლებიც მუხლსა და მუხლს შუა მასრებსავით გამოფუღრულნი არიან. მერე ოსსარომ დანით დააჭდივა ნედლი ტოტები ბანანისა და ამ დაჭდებილებში ჩაუყენა ბამბუკის მასრები. ცოტა ხანს შემდეგ მასრები ბანანის წვენით გაივსნენ. ეს წვენი იყო მეტად სქელი და ჰგავდა რძესა. ინდოელმა მონადირემ მასრებიდამ წვენი პატარა ქვაბში გადაასხა, შემოჰკიდა ქვაბი ცეცხლზედ ასადუღებლად და წვენს რევა დაუწყო. ცოტახანს შემდეგ ეს წვენი წებოთ გადაიქცა. ამ დროს კარლომ და კასპარმა მოჰკრიფეს ახალ-ახალი ბანანის ფოთლები და სამნივე წავიდნენ იმ ადგილს, საცა ირმის ხორცი ასოებათ ხეზედ ეკიდა. ოსსარომ ხეზედ ჩამოკიდებულის ხორცის ქვეშ კარგაძალაზედ ალაგი გაწმინდა. რაც ხმელი ტოტები და ფოთლები ეყარნენ, ყველანი შორს გადახვეტეს. მერე მოკრეფილს ფოთლებზედ დაასხეს ეს წებო და ამ წებოიან ფოთლებით მოჰფინეს იქაურობა. რომ ქარს არ წაეღო ფოთლები, ცოტაოდენი წებო მეორე გვერდზედაც მოაცხეს.

რადგანაც მონადირეები ფიქრობდნენ მზის ჩასვლამდის ტიგრის დაბრუნებას, ამისთვის იმათ მაღლა ბანანის ხეზედ საწოლი გამართეს. შესაძლებელი იყო, რომ ტიგრი იმათ წადგომოდა თავზედა. თუმცა ის ცეცხლს ერიდება, მაგრამ ბევრჯერ მომხდარა, რომ ის დიდის ცეცხლის წინ მჯდომარე კაცებს თავს დაცემია და რომელიმე იმათგანი მოუტაცნია. ოსსარომ ამისთანა მაგალითები ბევრი იცოდა და ამის გამო იმან ურჩია, რომ მონადირეებს ღამე ხეზედ გაეტარებინად ის. მართალია ტიგრი, კატასავით ხეზედაც კარგათ შევიდოდა, მაგრამ უფრო დასაჯერებელი იყო, რომ ის ვერ მიაგნებდა სქელს ბანანის ტოტებში იმათს ბინასა.

როდესაც ყოველის ფერი მოამზადეს და დასხდნენ ცეცხლა-პირს, იმათ მოესმათ რაღაც დიდი შიშინი. ეს შიშინი თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა და მერე უცბათ შეწყდა. ამ სამს მონადირეში მხოლოდ ოსსარო შეკრთა ამ ხმითა, სხვებს კი მხოლოდ ამ ხმაურობის მიზეზი უნდოდათ, შეეტყოთ. როცა ინდოელმა მონადირემ უთხრა იმათ, რომ ეს ხმა ტიგრის ღრენა იყოვო, მაშინ კი ყველა შეშინდა. ოსსარო შეძვრა ბანანზედ და თავის ამხანაგებსაც იგივე ურჩია. ყველანი ჩუმათ შესხდნენ მაღლა ხეზედ. ხის ტოტებს შუა ისინი კარგათ დასცქეროდნენ წებო დასხმულს ფოთლებსაც და ირმის ხორცსა, რომელიც ჰქანაობდა იქით-და-აქეთ. ასე ადრე ტიგრის მოსვლამ ყველა გააკვირვა, ნამეტურ ოსსარო, რომელმაც ძალიან კარგათ იცოდა ამ ნადირის ხასიათი და მზის ჩასვლამდის იმის მოსვლას არაოდეს არ მოელოდა; მაგრამ ხმა მაღალი ღრენა, რომელიც თან-და-თან უფრო მოისმოდა ჯაგებში,

უეელას არწმუნებდა, რომ ველური ცხოველი იმის ხორცზედ მოდის.

ამ დროს უეცრად მოგზაურებმა დაინახეს ტიგრი, რომელიც გამოჩნდა ხეებს იქით ჯაგში. იმისი თეთრი გული ძალიან ნათლად მოჩანდა ამწვანებულს ფოთლებში. ნადირი იმავ წამს ჩავარდა ბალახში, თითქო კატა იყოსო, რომელიც ჩიტს ეპარება და ჩიტი კი ვერა ხედავს. ტანი მიწაზედ გაჭიმა და ცეცხლ ანთებულის თვალებით შესცქეროდა ჩამოკიდებულს იმის ხორცსა. შერე ერთის გახტომით ხეეს გადაევლო და მიმწვდა იმ ხეს, რომელზედაც იმის ხორცი ეკიდა.

ოსსაროს ხორცი ისე მაღლა დაეკიდა, რომ მიწიდამ ორ საჟენზედ მეტად იყო ამაღლებული. თუმცა ტიგრი განზედ ძალიან შორს გახტება ხოლმე, მაგრამ ტანის აგებულება იმას ნებას არ აძლევს, რომ ზევითაც იმდენზედ შეხტეს. ამისთვის იმას ძალიან გაუკვირდა, რომ ორჯერ ხორცი წინანდელზედ უფრო მაღლა დაუხედა ჩამოკიდებული. ის გაჯავრდა, მაგრამ მიწაზედ მაინც დაეცა ხელახლა ზევით ახახტომით. ეს შეხტომაც ტყუილი გამოდგა. ის ხორცს მაინც ვერ შესწვდა და მოჰყვა ისევ ხმა მაღლა ღრენას. ორჯერ ხანს შემდეგ ტიგრი კიდევ შეხტა. ამ ჯაბად იმან მოარტყა თათი ხორცსა, მაგრამ მაინც ვერ ჩამოწყვიტა. ოსსარომ ძალიან მაგრის თასმით ჩამოკიდა იმის ხორცი.

ამ ამბავმა ნადირი კიდევ უფრო გააკვირა, რადგანაც ის დაჩვეული იყო ყოველის ფრის შეჭამას, რასაც კი კლანჭებს მოაცილებდა. იმას ფრთ გულზედ მაკეროდა ფოთლები. ამ დროსვე იმან შენიშნა, რომ რამოდენიმე სეულები იყენენ. ეს რა ამბავია? იმას ხშირად დაუდგამს ხოლმე სეულ ფოთლებზედ თათები, მაგრამ არაოდეს არ დამსხარნებია, რომ ფოთლები იმის ფეხებს მიკროდეს. ეს რა საკვირველი შემთხვევაა? იქნება ფოთლებზედ დაუშალეს ხორცის ჩამოგლეჯა. ტიგრმა მაინც ეს ფოთლები აჩუჩქებოდა და უნდოდა ისინი ფეხიდამ მოეცილებინა, მინამ მესამეღ ახტებოდა. იმან გაიბრტყა ფეხები, მაგრამ ფოთლები თითებს არ შორდებოდნენ; ის კიდევ უფრო ღრიანდა გაიქნია ფეხებსა, მაგრამ იმათის მოცილებას მაინც არა გაეწყობა. ამხეელი ველურს ფრს ეღარ მიხვდა. იმას თავის სიცოცხლეში ბევრჯერ შეხვედრია ბანანის ფოთლებზედ გადარბენა, მაგრამ ამ გვარს შემთხვევას ჯერ არ მოსწრებია.

ტიგრი აჩქარდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა თავის თათებს, მაგრამ სრულებით ვერა გააწყორა. ზოგიერთები არ ეშვებოდნენ; ზოგი იმათგანი თათებს შემოჰკეროდა, ზოგი კი პატარა ჭქონდა ფეხებზედ დაკრულო. რადგანაც ფეხის ქნევით ვერ იხსნა თავი წებოვანის ფოთლებისაგან, ამისთვის იმას უნდოდა სხვა რამე ღონისძიება მოეგონა. როცა ტიგრს ფეხები რიოიმე გაესვრება, ის აწწყვება და თავზედ დაიწყებს ფეხების გახოლცასა და ან ენით ამოლოკავს ფეხებს თითებში უწმინდურებას. ამ აზრით ის დაწვა და ყურადღებით ცხვირთან თავზედ ფეხი ჩამოისვა თუმცა ამ გვარის მოქმედებით, იმან ფოთლები ფეხებიდამ მოაშორა, მაგრამ იმის და შესამწუხებლად ყველა ფოთლები ყურებზედ ტუჩზედ და ცხვირზედ მიეკრა. იმათ ახლა კიდევ უფრო დაუწყეს ჯავრება. ტიგრს უნდოდა კლანჭებით მოეშორებინა ფოთლები, მაგრამ ამ რიგათ, თუ უფრო უმატება ფოთლებსა, თორემ არას აკლებდა. ცალი თათით რომ ვერა გაარიგაბოს, მერე მეორე თათით დაიწყო ფოთლების მოშორება, მაგრამ მეორეთი კიდევ უფრო ბევრი მიეკრა, ასე რომ ზოგი ერთი თვალზედაც მიეკრა და დაუწყო დაბრმავება. ახლა იმას ეროთა საშუალება დარჩა, უნდოდა როგორმე ეს ფოთლები ქერქი მოეცილებინა და ამისთვის გორაობა და, ბალახს თავზედ განიზრახვა წასმა. იმას ეგონა ამით უშველიდა თავის თავს. რაკი ეს აზრი ტიგრს თავში დაებადა იმავ წამს შეუდგა თავის განზრახვის ასრულებასა. ის დაწვა, ცხვირი მიწაზედ დააბჯინა და პირზედ უკანათათის წასმა დაიწყო, მერე გადაბრუნდა მეორე გვერდზედ და მეორე თათით პირის ხოკვას მოჰყვა. შემდეგ დაიწყო ბალახზედ გორვება, მინამ არ შეატყო, რომ იმისი მდგომარეობა უფრო ცუდათ შეიქნა. იმან იგრძნო, რომ სქელს ქერქში თავიან-ფეხებიანათ გამოეხვია და თავის თავი რაღაც ვიწრო კოლოფში ჩასმული ეგონა. ეს კოლოფი წამის-წამს უფრო და უფრო ტანზედ ეკირებოდა.

საწყალს ტიგრს ხეზედ ჩამოკიდებული ხორცი აღარ აგონდებოდა, ის ცდილობდა როგორმე ჩქარა გათავისუფლებულიყო ამ საშინელის მდგომარეობიდამ. ის ხტოდა, ხშირ-ხშირად ხეს დაეტაკებოდა ხოლმე, ყვიროდა საზარელის ხმითა და მერმე ისევ გორავდა მიწაზედ; ის კი არა თუ ამ მოქმედებით კიდევ უფრო უმატებდა თავის უბედურებას.

ოსსარო ჩამოვიდა ბანანიდამ ხელში აიღო თავისი შუბი და მოუწოდა ქარლოს და ქასპარის თავიანთის თოფებითა.

ინდოელი ამ ნადირს შუბითაც მოჰკლავდა, რადგანაც არაფრის ფიქრი აღარ იყო, მაგრამ მაინც თოფის სროლა აჯობებდა ამ შემთხვევაში. ერთს მინუტს ტყვიამ ! დასცა მხეცი უსულოთ. ტიგრს გულში ჰქონდა მოხვედრებული.

ახლოს რომ მივიდნენ და ნახეს, ტიგრს ისე ბევრი ფოთლები მიჰკვროდა ფეხებზედ, რომ კლანჭებით საქმობა აღარ შეეძლო. ამის შემდეგ კაცი ხანჯლითაც კარგათ მოჰკლავდა ამ მხეცსა.

დასასრულ კიდევ რამოდენსამე სიტყვას ვიტყვით ამ მხეცზედ. როგორც ზემოთ ვთქვით ტიგრი არის კატის გვარი და იმის და გვარათ მოგძო ტანი აქვს. ფეხებზედ კლანჭები, როგორც კატას, თითებში აქვს ჩამალული, ისე რომ როცა დადის, კლანჭების წვერებს მიწაზედ არ აკარებს; ამისთვის იმის კლანჭები ყოველთვის წვეტიანია. თითებს ქვეშ ტყავის ბალიშები აქვს გამოფენილი და ამის გამო ის მჩატედ და ჩუმად დადის. ინდოეთის ტიგრს საკაროლო ტიგრს ეძახიან და თავიდამ კუდის ბოლომდის თითქმის ერთი საჟენია. რაც უნდა ძლიერი ხარი იყოს, ტიგრმა რომ ერთი თათი შამოჰკრას, მაშინვე ძვლებს დაუმტვრევს და ძირს დასცემს. იმას ხარის წაღება არაფრად მიაჩნია. ახოვნებით და გამბედაობით ლომი სჯობია, მაგრამ ტიგრი იმაზედ უფრო მწარე და დაუნდობელია.

## სხვა და სხვა ამბავი

სოლონის მეურნეობის საზოგადოებამ (ფრანციაში) დაუნიშნა პრემია ათასი ფრანკი იმას, ვინც იპოვის იმასთანა ღონისძიებას, რომ შეიძლებოდეს გადატანა ღვინოსი ხმელეთით და ზღვით ისე, რომ ღვინოს არაფერი ვნება არ მიეცეს და გემო არ დაეკარგოს. დიდი ხანი არ არის, რაც კამისიამ, რომელის წევრათაც არიან მარშალი ვალიანი, აკადემიკი დუმა, მოლი და ბრონიარი, დაუნიშნა პრემია ერთს გამოჩენილს ფრანციის მსწავლულს, მემიკროსკოპეს პასტერს. აი რაში მდგომარეობს ეს გამოგონება: 1) ღვინის გაფუჭება იმის დუღილისგან წარმოსდგება, 2) ღვინო უნდა გაცხელდეს 50 გრადუსამდე ცელზიის თერმომეტრისა. ამ გვარათ გაცხელებულს ღვინოში დაიხოცებიან ყველა პატარა მცენარეები, რომლების მიზეზითაც ღვინის დუღილი წარმოსდგება. 3) თუ ღვინო იმოდენათ გაცხელდა, რამოდენათაც წინათ იყო ნათქვამი, ის არაოდეს არ დაჰკარგავს არც ფერს, არც გემოს და არც სიწმინდეს. 4) უფუ კაცი ამ გვარათ მოეპყრა ღვინოს, მაშინ ის დიდ ხანს შეინახება შეუცვლელად, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ის უნდა შეინახოს მაგრა დახურულს ჭურჭელში, 5) თუ ამ გვარს ღვინოს ისევ ჰაერი ხვდება, მაშინ ის უწინდებულად შეიძლება გაფუჭდეს და თავისი გემო დაკარგოს, რადგანაც ჰაერიდგან ჩაცვივიან ღვინოში იმ მცენარეების თესლები რომლებიც შეიქმნებიან ღვინის დუღილის მიზეზი. ერთის სიტყვით, პასტერის აზრით, ღვინის გაფუჭება წარმოსდგება იმ პარაზიტებისაგან (*), რომლებიც ღვინის დუღილის მიზეზათ შეიქმნებიან.—ეს პასტერის გამოგონება მოახდენს დიდს ცვლილებას ღვინის გაკეთებაში. აქამდინ ღვინოს მარტო ადგილობრივ ჰქონდა გასავალი, რადგანაც შორს წაღება იმას აფუჭებდა, ახლა კი შეიძლება ღვინოს წაღება შორს ადგილებში ისე, რომ იმას არა ფერი ვნება არ მიეცეს.

ცხვრების გაპარსვა. ცეპტრიცის გამოცდით, ორჯელ გაპარსვა ცხვრებისა უფრო უკეთესი და სამჯობინაროა, მინამ ერთხელ; ნაპარსიც მომეტებული იქნება და თითონ ხორციც უფრო უკეთესი. ამ მამულის-მეპატრონემ გამოიანგარიშა, რომ ორჯელ გაპარსვით 11 პროცენტით მომეტებული მატყლი მიიღება. ზაფხულში ცხვარს ბეწვი უფრო ჩქარა ეზრდება, მინამ ზამთარში. თუ მამულის მეპატრონეებს უნდათ, რომ ორჯელ გაპარსულის მატყლის სიგძე თანასწორე იყოს, ამისთვის ზაფხულში იმან უნდა გაპარსოს ის ცხვრები, რომლებსაც ხუთი თვის ნაზარდი ბალანი აქვთ, და ზამთარში ისინი, რომლებსაც 7 თვის ბალანი აქვთ. ამ რიგით ცხვრის გაპარსვა ძალიან სასარგებლოა მამულის მეპატრონისთვის, რადგანაც შემოდგომას იმას შეემთხვევა ცხვრის გაპარსვა ენკენის თვეში და იმის შემდეგ ცხვარს ზამთრამდინ კარგი დიდი ბალანი გაეზრდება, ისე რომ სიცივე ვერ ავნებს.

ბამბის შემუშავება. იტალიაში ძალიან გაძლიერდა ბამბის შემუშავება. იმედია, რომ იტალიელები ამ მოკლე დროში არ დაუვარდებიან ბამბის შემუშავებაში ამერიკელებს 1863 წ. იტალიაში ბამბის მოსავალი შეადგენდა 900 ათასს ცალის. სიცილიაში ბამბა დათესილა დიდს და ვრცელს მინდვრებზედ, ერთს დესიატინაზედ მოდის ათასი გირვანქა ბამბა და ისყიდება 100 მან. ამავე ბამბის შემუშავებაზედ იხარჯება 50 მან. წმინდა მოგება ერთს დესიატინაზედ რჩება 50 მან. მოხსენებული ბამბის ფასი (გირვანქაზედ ორი შაური) სულ მცირეა; ბამბა ამაზედ მეტად ფასობს, ასე რომ ერთს დესიატინაზედ უფრო მომეტებული მოგება ექნება მამულის მეპატრონეს. იტალიის მმართებლობა ყოველს ღონის ძიებას ხმარობს, რომ ბამბის შემუშავება გაავრცელოს.

ქალი-ექიმი, ამერიკელი მერი ე. უოკერი კითხულობს ლონდონში სახალხო ლექციებს მედიცინაზედ. მერი უოკერი პატარა ტანისაა, სახით სრულებით ყმაწვილსა ჰგავს. მერმა უოკერმა დიდი ღვაწლი დასდვა თავის სამშობლო ქვეყანას უკანასკნელს ამერიკის ომში. პირველს ლექციაში უოკერმა გაამტყუნა ის უსაფუძვლო აზრი, რომ დედა-კაცს აქიმობის ნიჭი არა აქვს და უამბო მსმენელებს თავისი საკუთარი ცხოვრება.

## სახაზინო განცხადება.

(Закавказскій вѣстникъ № 49).

1) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველო გამოაცხადებს, რომ ქუთაისის გუბერნიის მმართველობაში მოხდება ტორგი გადასატანათ ლაზარევის მაგაზინში: უუბანის პრავიანტის მაგაზინიდამ (რომელიც შავის ზღვის პირად იმყოფება, სოჩიდამ 9 ვერსზედ) 2300 ჩეთვერის პურისა და 90 ჩეთვერის კრუპისა და გალავინის მაგაზინიდამ 1000 ჩეთვერის პურისა და 90 ჩეთვერის კრუპისა. ეს ტორგი მოხდება მომავალის 1867 წლის 4 იანვარს და პერეტორჟკა 9-ს.

2) ტფილისის გუბერნიის მმართველობამ დანიშნა გასასყიდათ იმავე მმართველობაში უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მცხოვრებს მეხთი-ბეგ-ალა-ჰუსეინ-ოღლის და იმყოფება მეოთხე ნაწილის პირველს და მეორეს კვარტალში ტფილისის ქალაქისა. ეს მამული დაფასებულია ოთხი ათას მანეთის მეტათ და მისი გასყიდვა მოხდება მომავალის 1867 წლ. 27 იანვარს, პერეტორჟკა კი სამის დღის შემდეგ იქნება.

3) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 19 დეკემბერს არის დანიშნული ტორგი გასასყიდათ სახლებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს პირებს ეკუთვნიან: 1) კოლეჟსკი ასესორს დავით იაკობის ძეს აბალიშვილს, რომელმაც 3300 მან. ისესხა პრიკაზიდამ და გირავოთ შეიტანა სახლი სარდაფით ქუკიაში; 2) მღვდლის შვილის იაგორ ტერ-ალექსანდროვისა, რომელსაც 1000 მანეთი ჰმართებს პრიკაზისა და გირავოთ აქვს შეტანილი ორ-ეტაჟიანი სახლი სარდაფით პირველის ნაწილის მეორე კვარტალში.

4) ზაკავკასიის პრიკაზმა დანიშნა ხელმეორეთ ტორგი გორის უეზდის სამსჯავროში 20-ს მარტს 1867 წელს თავადის დავით ივანეს ძის ერისთვის დასახლებულის მამულის გასასყიდათ, რომელიც იმყოფება გორის უეზდის, ქსნის უჩასტკის სოფლებში: ცხრა-ძმას და ახალგორს. ეს მამული იმისთვის ისყიდება, რომ თ. ერისთავმა არ შეიტანა პრიკაზში სარგებელი ნასესხის ფულისა—3810 მანეთისა.

5) მომავალის 1867 წლის 3 აპრილს ზაკავკასიის პრიკაზში მოხდება ტორგი მიცვალებულის კოლლეჟსკის ასესორის არკდია მიხეილის ძის ლამაზოვის ვენახის გასასყიდათ. ეს ვენახი არის ტფილისის უეზდში, ბორბალოს უჩასტკაში და გირავოთ იყო შეტანილი 3200 მანეთის სესხისათვის.

6) ზაკავკასიის პრიკაზში 27 ფებერვალს 1867 წელს მოხდება ტორგი მიცვალებულის ეკატირინე გიორგის ასულის სერბინოვის ცოლის სახლის გასასყიდათ, რომელიც იმყოფება პირველის ნაწილის მესამე კვარტალში. ეს სახლი დაგირავებული იყო პრიკაზში 8000 მანეთათ.

7) ტფილისის უეზდის სამსჯავრომ დანიშნა მომავალის 1867 წლის 3 იანვარს ტორგი გასასყიდათ ერთ ეტაჟიანის კვითკირის სახლისა, რომელიც ეკუთვნის ტფილისში მცხოვრებს სახელმწიფო გლეხს ნიკოლოზ თეიმურაზოვს, იმყოფება მესამე ნაწილის მესამე კვარტალში და დაფასებულია 300 მანეთათ.

---

(*) პარაზიტი, ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს იმ გვარს ცხოველებს და მცენარეებს, რომლებიც სხვა ცხოველებზედ და მცენარეებზედ ცხოვრებენ და იმათგანვე იკვებებიან; მაგალი. ხავსით, ტკიპი და სხვა.



# განცხადება

გაზეთის **სავაჭრო ფურცლის** (*Վաճառա-կան*) გამოცემაზედ 1867 წელს.

მომავალს 1867 წ. გაზეთი **სავაჭრო ფურცელი** გამოვა სომხურს ენაზედ კვირაში ერთხელ მმართებლობისაგან დამტკიცებულის პროგრამმით.

ეს გაზეთი აცნობებს ჩვენს ვაჭრებს სხვა და სხვა სავაჭრო და სახელოსნო ამბებს, და ეკონომიულ მდგომარეობას, რომელიც ევროპაში მიღებულია. ამას გარდა გაზეთი მკითხველებს შეატყობინებს მომდინარე ამბებს რუსეთზედ და კავკასიის აქეთს მხარეზედ. საპოლიტიკო ამბები კი არ იქნება დაბეჭდილი, რადგანაც ჩვენს გაზეთის პროგრამმას ეს არ ეკუთვნის. გაზეთი ბეჭდავს საოფიციალო ცნობებს და სახაზინო განცხადებაებს კავკასიიდამ იმ განზრახვით, რომ ეს ცნობები შეატყობინოს იმ სომხებს, რომელნიც რუსულს არა კითხულობენ.

მომავალს წელში გაზეთი ყოველ კვირა მიიღებს დეპეშებს, რომელშიაც განსაკუთრებით სავაჭრო ცნობები იქნება. ამ დეპეშებს ჩვენ გამოგვიგზავნის რუსის ტელეგრაფის სააგენტო, რომელიც პეტერბურგში იმყოფება. ამას გარდა ამ გაზეთის რედაქციას სურს მომავალის 1867 წლის დასაწყისს უფასოთ გაუგზავნოს თავის ხელის-მომწერლებს მოკლე სავაჭრო ლექსიკონი."

ეს გაზეთი 1867 წელს გამოვა ყოველ კვირა ხუთ-შაბათს ნახევარ—თაბახობით. გაზეთის წლის ფასი შინ მიტანით ტფილისში და გაგზავნით ყველა რუსეთის და კავკასიის აქეთის მხარის ქალაქებში არის ხუთი მანეთი.

ამ გაზეთზედ ხელის მოწერა მიიღება ტფილისში რედაქტორისას.

რედაქტორი—გამომცემელი იაგორ ტერ—ალექსანდრიანცი.

## საბიბლიოგრაფო ცნობა.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში ისყიდება: **კალენდარი** სომხეთა და ქართველთა, 1867 წლისა, გამოცემული სერ. მდივანოვისაგან. ფასი სამი შაური.